



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ. ფოსტა:
info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე

Typological Linguistics and Translation

მიმართულება - 10 ჰუმანიტარული
დარგი/სპეციალობა - 1005 ფილოლოგია

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნუნუ გელდიაშვილი, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
მანანა ღარიბაშვილი, პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით

1. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტის
საბჭოს მიერ
ოქმი №5, 2018წ.

ფაკულტეტის დეკანი: პროფესორი

/ნ. კოჭლოშვილი/

2. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
ოქმი №9, 2018 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სანსახურის ხელმძღვანელი : ასოც. პროფესორი

/შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №15, 2018წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი:

/ი. შიომშვილი/

თელავი
2018

- **ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- **დეპარტამენტები:** ქართული ფილოლოგიის; უცხო ენებისა და ლიტერატურის
- **პროგრამის სახელწოდება:** ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე

Typological Linguistics and Translation

პროგრამის ფარგლებში კვლევის ემპირიული ბაზა შეიძლება იყოს:

- ✓ ქართულ-ინგლისური/ინგლისურ-ქართული
- ✓ ქართულ-გერმანული/გერმანულ-ქართული
- ✓ ქართულ-რუსული/რუსულ-ქართული

• პროგრამის ანალოგები

- ✓ კენტუკის უნივერსიტეტი, აშშ - სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტური თეორია და ტიპოლოგია“
<https://linguistics.as.uky.edu/maltt>
- ✓ სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, შვედეთი - სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტური მეცნიერებები“ (სპეციალობა - ტიპოლოგია და ლინგვისტური მრავალფეროვნება)
<http://www.ling.su.se/english/education/courses-and-programmes/second-level/master-s-programme-in-language-sciences/master-s-programme-in-language-sciences-specialisation-in-typology-and-linguistic-diversity-1.21065>
- ✓ სოციალურ მეცნიერებათა საუნივერსიტეტო კოლეჯი, პოლონეთი - სამაგისტრო პროგრამა ინგლისური როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე
<http://www.mastersportal.eu/studies/24535/applied-linguistics-of-english-with-translation.html>
- ✓ ჯოან გუტენბერგის უნივერსიტეტი, გერმანია; სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა, კულტუროლოგია და მთარგმნელობითი საქმე
<https://www.fb06.uni-mainz.de/eng/429.php>
- ✓ იორკის წმინდა იოანეს უნივერსიტეტი, ინგლისი, დიდი ბრიტანეთი; სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი ლინგვისტიკა (მთარგმნელობითი საქმე)

• პროგრამის ხელმძღვანელები:

ნუნუ გელდიაშვილი, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

მანანა ღარიბაშვილი, პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით
manana.gharibashvili@tesau.edu.ge

CV-ები იხილეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე www.tesau.edu.ge

- **აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (II საფეხური)
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- **სწავლების ენა:** ქართული
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** 1005 ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Philology
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი (ECTS)

● **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთო ეროვნული სამაგისტრო გამოცდა;
- უნივერსიტეტის მოთხოვნა - გამოცდა სპეციალობაში, რომელიც ადმინისტრირებულია უნივერსიტეტის მიერ. გამოცდა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.

(ბრძანება მაგისტრატურაში ჩარიცხვის წესის შესახებ და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის უწყისის ფორმები იხილეთ უნივერსიტეტის საიტზე http://tesau.edu.ge/?page_id=1464).

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება:

- ა) B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ქონას სამიზნე ენაში;
ინგლისური ენის მიმართულება - TOEFL IBT 72-94 (72 ქვედა ზღვარი); TOEFL ITP – 543; IELTS 5.0 – 6.0 (5.0 ქვედა ზღვარი);

რუსული ენის მიმართულება - ТПКИ – 2

გერმანული ენის მიმართულება - Goethe-Zertifikat B2 (მაქსიმალური ქულა 100; აქედან კითხვა - 25 ქულა, მოსმენა - 25 ქულა, წერა - 25 ქულა, საუბარი - 25 ქული). სერტიფიკატის მირეღიების აუცილებელი პირობაა თითოეულ კომპონენტში ქულების 60% დაგროვება)

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას/პუბლიკაციას;

გ) ტრენინგს შესაბამის სფეროში.

● **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია ფართო პროფილის ლინგვისტისა და პროფესიონალი მთარგმნელის მომზადება, რომელსაც გაცნობიერებული ექნება აღნიშნული სფეროს კომპლექსურობა, სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. მაგისტრანტი დაეუფლება ენათა შეპირისპირებითი კვლევების დამოუკიდებლად განხორციელების მეთოდოლოგიას. შექმნილი ცოდნა მნიშვნელოვნად აამაღლებს მის კომპეტენციას როგორც თეორიულ, ისე - გამოყენებით ასპექტში, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მაღალკვალიფიციურობასა და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და, შესაბამისად, წარმატებით დასაქმებას ყველგან, სადაც პროფესიონალი მთარგმნელის, მკვლევარისა თუ პროფესორ-მასწავლებლის საჭიროებაა, ხოლო, სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურაში.

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია, სრულყოფს ისეთი პიროვნული ღირსებები და მოქალაქეობრივი ღირებულებები (ეროვნების მიუხედავად), როგორცაა: ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა, სხვისი პროფესიონალიზმის აღიარება და შემდგომ, ამის საფუძველზე, საკუთარი შემოქმედებითი უნარების განვითარება-დამკვიდრება, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირება, დემოკრატიული და ლიბერალური პრინციპებით ცხოვრება.

პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხელს უწყობს სპეციალისტს, შეიტანოს წვლილი უცხოენოვან ქვეყნებთან საქართველოს ინტეგრაციასა და ქართული და უცხოური კულტურის ფასეულობების დახვეწა-განვითარებაში.

● **სწავლის შედეგი**

სწავლის მოსალოდნელი შედეგები აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას. სწავლის შედეგების რუკაში კი ნაჩვენებია, რომელი საგნის სწავლება რომელ კომპეტენციას უვითარებს მაგისტრანტს.

	დარგობრივი კომპეტენციები
<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს:</p> <p>სიღრმისეული, სისტემური თეორიული ცოდნა ლინგვისტიკასა და სხვადასხვა სისტემის ენათა ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, სტილისტიკასა და გრამატიკის საფუძვლებში (ქართულ-ინგლისური; ქართულ-რუსული; ქართულ-გერმანული) და, შესაბამისად, შეუძლია ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება და ახალი იდეების შემუშავება;</p> <p>სისტემური ცოდნა მთარგმნელობით საქმიანობაში (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ ქართული; ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული; ქართულ-გერმანული, გერმანულ-ქართული);</p> <p>შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის, მთარგმნელობითი საქმიანობისა (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული; ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული; ქართულ-გერმანული, გერმანულ-ქართული) და საქმის წარმოების მეთოდოლოგიური ცოდნა; შესაბამის სფეროებში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;</p> <p>სხვადასხვა ენათა კულტურის ფასეულობათა და თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება.</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ჩამოყალიბებული ენობრივი უნარების (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) პრაქტიკაში რეალიზება და პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება მულტიდისციპლინური გარემოს გათვალისწინებით;</p> <p>მთარგმნელობითი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვა - ტექსტების სწრაფად და გამართულად თარგმანისა და რედაქტირების უნარი; ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოება-თარგმანი (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ ქართული; ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული; ქართულ-გერმანული, გერმანულ-ქართული);</p> <p>კონტრასტული ხასიათის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ ქართული; ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული; ქართულ-გერმანული, გერმანულ-ქართული); საჭირო ლინგვისტური პირველწყაროების მოძიება, დამუშავება; კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად ახალი, ორიგინალური გზების ძიება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება;</p> <p>ლინგვისტური ტერმინოლოგიის მიზნობრივად გამოყენება კვლევის პროცესსა და მთარგმნელობით საქმიანობაში; შესაბამისად, შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, პუნქტუა</p>

	<p>ლურობა და მოწესრიგებულობა;</p> <p>ცვალებად/სტრესულ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქნილობის, ადაპტაციისა და პრობლემების (ექსტრემალურ სიტუაციებში) გადაწყვეტისას ეფექტური/ადეკვატური მოქმედების, აგრეთვე მულტი-სამუშაოს შესრულების ძლიერი უნარი ლინგვისტური კვლევებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.</p>
3. დასკვნის უნარი	<p>დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით რთული და არასრული ლინგვისტური ინფორმაციის (მიმდინარე კვლევების) ინოვაციური სინთეზი, შედეგების განზოგადება, კრიტიკული ანალიზი და ლოგიკური, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p> <p>მოტივირებულობა და ახალი (ნოვატორული), ორიგინალური (კრეატიული) იდეების შემუშავების უნარი კონტრასტული ხასიათის კვლევებსა და მთარგმნელობით საქმიანობაში. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p>
4. კომუნიკაციის უნარი	<p>ლინგვისტიკის, სხვადასხვა სისტემის ენათა ლექსიკა-გრაფოლოგიის, სტილისტიკისა და გრამატიკის საფუძვლების, ასევე, მთარგმნელობითი საქმიანობის სფეროში საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების აკადემიურ/ პროფესიულ საზოგადოებასთან წარმატებული ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია (პრეზენტაცია) ქართულ და უცხოურ ენებზე სამეცნიერო ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვით;</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება (ონლაინ ლექსიკონების მოხმარება თარგმანის პროცესში; სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დარგთან დაკავშირებული ინფორმაციული წვდომა ონლაინ რეჟიმში);</p> <p>დამოუკიდებლად და გუნდში შემოქმედებითად მუშაობა პროფესიულ თუ არაპროფესიულ გარემოში.</p>
5. სწავლის უნარი	<p>ახალი ინფორმაციის მოძიება ლინგვისტიკასა და სხვადასხვა სისტემის ენათა (ქართულ-ინგლისური; ქართულ-რუსული; ქართულ-გერმანული) ლექსიკა-გრაფოლოგიაში, სტილისტიკასა და გრამატიკის საფუძვლებში, სამეცნიერო მეთოდოლოგიური ბაზის გაფართოება, ცოდნის დონის გაღრმავება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით შემდგომი სწავლის საჭიროების დამოუკიდებლად განსაზღვრა/წარმართვა და კარიერულ ზრდაზე ორიენტირება;</p> <p>კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწორი სტრატეგიის შემუშავება და სწავლის პროცესის დაგეგმვა-წარმართვა.</p>
6. ღირებულებები	<p>პროფესიულ საქმიანობასა და სხვებთან დამოკიდებულებაში სხვისი აზრის გათვალისწინება, მეცნიერული ობიექტურობის პრინციპების დაცვა და სწავლა-სწავლების პროცესში მათი განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>საუკეთესო ჩვევების/ქცევის შემუშავებაში, დანერგვასა და განხორციელებაში აქტიური თანამონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა; პროფესიული და პიროვნული განვითარება;</p> <p>ეთიკური და მორალური პრინციპების დაცვა და სხვებისადმი გაზიარება;</p> <p>ეროვნული და დასავლური ღირებულებების დაფასება და დამკვიდრება-განვითარებაში წვლილის შეტანა.</p>

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსი	საინჟინერო	სტატუსი	კომპეტენციების ჩამონათვალი																			
				ცოდნა და განზობიერება				ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი					დასკვნის უნარი		კომუნიკაციის უნარი			სწავლის უნარი		ღირებულებები			
				1.1	1.2	1.3	1.4	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	3.1	3.2	4.1	4.2	4.3	5.1	5.2	6.1	6.2	6.3	6.4
1	უცხო ენა (B2 +)	5	სავალდ.	■			■	■				■	■		■	■	■	■	■			■	
2	უცხო ენა (C1 -)	5	სავალდ.	■			■	■				■	■		■	■	■	■	■			■	
3	ლინგვისტ. მოძღვრ. ისტორია	5	სავალდ.	■		■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
4	ტექსტის ლინგვისტიკა	5	სავალდ.	■		■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
5	სოციოლინგვისტიკა	5	სავალდ.	■		■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
6	შეპირისპ. გრამატ. კურსი 1	5	სავალდ.	■		■	■		■			■	■		■	■	■	■	■			■	
7	შეპირისპ. გრამატ. კურსი 2	5	სავალდ.	■		■	■		■			■	■		■	■	■	■	■			■	
8	ლექსიკოლოგიის ტიპოლოგია	5	სავალდ.	■	■	■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
9	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სამეცნ. და ტექნ. თარგმანი)	5	სავალდ.		■	■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
10	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (მხატვ. ტექსტთა თარგმანი)	5	სავალდ.		■	■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
11	პროფესიული პრაქტიკა	5	სავალდ.		■	■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
12	ლინგვოკულტუროლოგია	5	არჩევითი	■		■	■				■	■		■	■	■	■	■	■			■	
13	საქმიანი კომუნიკაციისა და მეცნ. კვლევის ტექნოლოგიები	5	არჩევითი			■	■			■	■		■	■		■	■	■	■			■	
14	მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები	5	არჩევითი			■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
15	ინფორმაც. ტექნოლოგიები	5	არჩევითი			■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
16	მეორე უცხო ენა(რუსული/გერმანული/ინგლისური)	5-5	არჩევითი			■	■		■			■	■		■	■		■	■			■	
17	ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი	5	არჩევითი	■		■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
18	ენის ისტორია (ქართ. და საანალიზო ენა)	5	არჩევითი	■		■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
19	პრაგმატიკა და დისკურსი	5	არჩევითი	■		■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
20	სოციალური ფსიქოლოგია	5	არჩევითი			■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
21	პრაქტიკული მენეჯმენტი	5	არჩევითი			■	■				■	■		■	■		■	■	■			■	
22	სამაგისტრო ნაშრომი	5	სავალდ.	■		■	■				■	■		■	■		■	■	■			■	

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები**

სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა ხდება სხვადასხვა მეთოდით/საშუალებით: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის ფორმებს/აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, რეფერატი, სემინარი და სხვა.

გარდა ამისა, სწავლა-სწავლება მიმდინარეობს ასევე: ვერბალური, წიგნზე და მასალაზე (საანალიზო წყაროები) მუშაობის; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლების, ახსნა-განმარტებითი, ევრისტიკული, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, აღწერითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების კომბინაციით; ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით.

პროგრამით განსაზღვრული მეთოდები და აქტივობები/ფორმები ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის აქტივობას/ფორმას და მეთოდებს ირჩევს ლექტორი, ასახავს კონკრეტული საგნის სილაბუსში და პასუხისმგებელია სწავლის შედეგებზე.

- **დასაქმების სფერო**

პროგრამის სწავლის შედეგები - თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები - უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. მათ შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ სექტორში - კოლეჯი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, მთარგმნელობითი და ტურისტული ბიუროები, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, მუზეუმები, ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, რედაქცია, ლიტერატურული ასოციაცია, ადმინისტრაციული ან საოფისე სამსახურები, მასმედია (პრესა, ტელევიზია, რადიო) - ყველგან, სადაც პროფესიონალი მთარგმნელის და მკვლევარის საჭიროებაა. გარდა ამისა, მან შეეძლება მიმართულებით, დამატებითი კვალიფიკაციის მიღწევის შემთხვევაში შეიძლება შეძლოს დასაქმება ინგლისური ენის მასწავლებლად სკოლაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა (უზრუნველყოფილი საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით (Cambridge Journals Online; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>); სამკითხველო დარბაზი, პროფესორ-მასწავლებელთა პირადი წიგნადი ფონდი/რიდერები, ETAG - ის ბიბლიოთეკა (როგორც რეგიონალური, ასევე ცენტრალური), ქართული და უცხოური ფილოლოგიის დეპარტამენტებისა და ამერიკის შესწავლის ცენტრის წიგნადი ფონდი. ასევე, საპრეზენტაციო დარბაზები და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სამეცნიერო ლიტერატურით, ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. დოქტორანტი, საჭიროებისამებრ, ისარგებლებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკით, ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკით, გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკით, საქართველოს ფრანგული

ინსტიტუტის მედიათეკით, ლიტერატურის მუზეუმით, არქივით, ხელნაწერთა ინსტიტუტით, კერძო არქივებით. აგრეთვე, ბეჭდური ბაზების პარალელურად მკვლევარს შესაძლებლობა ექნება, გამოიყენოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ონლაინ სამეცნიერო ბაზები.

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ✓ ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ კვების ბლოკი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.

• სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებითა (2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი) და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა (2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი) და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების თანახმად პროგრამის სილაბუსებში.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის, ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სრტუქტურა. საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით, ყოველი საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დასკვნით გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის გავლის პროცესში ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 91-100 ქულა - ნიშანი A (ფრიადი)
- 81-90 ქულა - ნიშანი B (მალიან კარგი)
- 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)
- 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

41-50 - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება საგნის სხვა კომპონენტები მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესასრულებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება საგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნითი და შუალედური შეფასებების კომპეტენციის მინიმალურ გადასალახ ზღვარს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი (რომელიც არ აღემატება შუალედური და დასკვნითი შეფასებების 60 %-ს).

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კომპონენტის (პროფესიული პრაქტიკა) ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით ზემოთ მოყვანილი სისტემის მიხედვით - შუალედური მაქსიმუმ 60 ქულისა და დასკვნითი მაქსიმუმ 40 ქულის შეფასებების მეშვეობით. პირობები, მინიმალური ზღვრები და შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) კომისიის თითოეული წევრის მიერ. (იხ. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი):

• სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სწავლების ხანგრძლივობა – 2 (ორი) აკადემიური წელი - 4 სემესტრი:

- ✓ სწავლების პირველი აკადემიური წელი: 60 კრედიტი
- ✓ სწავლების მეორე აკადემიური წელი: 60 კრედიტი

პროგრამა წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის ერთობლიობას. სავალდებულო კრედიტებს დათმობილი აქვს 90 კრედიტი, ხოლო არჩევითს - 30. ასეთი დაშვება ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპის გამყარებას და შრომის ბაზარზე დასაქმებას, რადგან ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების კომბინირება იძლევა ყველა კომპეტენციის სრულფასოვანი გამომუშავების შესაძლებლობას. პროგრამაში ზოგად (ყველასათვის საერთო) სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 15 კრედიტი, სპეციალიზაციის მოდულს - 35 კრედიტი, პროფესიულ პრაქტიკას - 10 კრედიტი; არჩევითი კურსების მოდულს - 30 კრედიტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისათვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი.

ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე - დამოუკიდებელ მუშაობას. 120 კრედიტიდან 2/3 სასწავლო, 1/3 კი - კვლევითი მუშაობის წილია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სამაგისტრო ნაშრომის - 30 კრედიტი - შესრულებაზე. სალექციო კურსები გადანაწილებულია სამ სემესტრზე, IV სემესტრში კი დატვირთვა მოდის სამაგისტრო ნაშრომზე. გარკვეული სასწავლო კურსები ხორციელდება ქართული და სამიზნე უცხო ენის (ინგლისური/გერმანული/რუსული) შეპირისპირების პრინციპების გათვალისწინებით. შესაბამისად, საკონტაქტო საათების ნაწილი იკითხება უცხო ენაზე, ხოლო გამოცდა ტარდება კომბინირებულად.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობა - კვირაში 2 სთ. (სულ 60 სთ წელიწადში). საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონსულტაციოდ

გამოყოფილი დრო გადანაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე. საჭიროების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა.

თეორიული სასწავლო კურსების პარალელურად, გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი - პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი), რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

პროფესიულ პრაქტიკას მაგისტრანტები გადიან მთარგმნელობით ბიუროებში ინდივიდუალურად შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ხოლო შეფასება (მაქსიმუმი - 100 ქულა) ხდება მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესრულებული სამუშაოს აკადემიურობის, სრულყოფილებისა და პრეზენტაციის საფუძველზე.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია თესაუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომლებსაც აქვთ თანამედროვე აკადემიური ცოდნა, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ მეთოდურ მუშაობას; აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში, შემოქმედებითად და კრიტიკულად აანალიზებენ დარგის (ფილოლოგია) უახლესი მიღწევებს. ასევე, გააჩნიათ ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო საგრანტო პროექტების შემუშავებისა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება:

პროგრამის ხელმძღვანელთა ავტორობით/ინიციატივით დაფუძნდა და ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურათაშორისი დიალოგები“ (I (2011); II (2013); III (2015) IV (2017)); პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტები. დაიბეჭდა სამეცნიერო შრომების სრული კრებულები.

№	სასწავლო კურსების დასახელება	ლექტორის სახელი, გვარი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა
1	1) ლექსიკოლოგიის ტიპოლოგია (ქართული ენის ნაწილი) 2) ტექსტის ლინგვისტიკა 3) ენის ისტორია (ქართული და სამიზნე ენა) (ქართული ენის ნაწილი) 4) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი
2	1) შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 1 (ინგლისური ენის ნაწილი) 2) შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 2 (ინგლისური ენის ნაწილი) 3) ლექსიკოლოგიის ტიპოლოგია (ინგლისური ენის ნაწილი) 4) თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სამეცნიერო და	მანანა ღარიბაშვილი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი (ინგლისური ენის მიმართულებით)

	ტექნიკურ ტექსტთა თარგმანი) 5) თარგმანის თეორია და პრაქტიკა (მხატვრულ ტექსტთა თარგმანი) 6) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა			
3.	1) უცხო ენა 1 (B2 +) (ინგლისური ენა) 2) უცხო ენა 2 (C1-) (ინგლისური ენა) 3) ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი (ინგლისური ენის ნაწილი) 4) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	შორენა ლაზვიაშვილი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,	ასისტენტ პროფესორი
4.	1) ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	ელ. ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტ. პროფესორი
5.	1) შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 2 (ართული ენის ნაწილი) 2) ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი (ქართული ენის ნაწილი) 3) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	რ.ჭიკაძე	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,	პროფესორი
6.	1) მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები 2) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	ი. შიოშვილი	ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი
	1) შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 1 (ქართული ენის მიმართულება)	ლ. ტალახაძე	ფილოლოგიის მეცნიერებათა დიქტორი	ასოც. პროფესორი
	1) ლინგვოკულტუროლოგი 2) პრაგმატიკა და დისკურსი 3) ენის ისტორია (ქართული და სამიზნე ენა) (ინგლისური ენის ნაწილი)	მ.კობახიძე	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	მოწვეული დოქტორი
	ინფორმაციული ტექნოლოგიები	მ. ზაქარიაშვილი	პედგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი
	1) სოციოლინგვისტიკა 2) უცხო ენა 1 (ინგლისური ენა) 3) უცხო ენა 2 (ინგლისური ენა)	თ.შიუკაშვილი	ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	ასისტენტი

	მეორე უცხო ენა (რუსული)	ს.ასატუროვა	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი	
	მეორე უცხო ენა (რუსული)	ც.მოდებაძე	განათლების აკადემიური დოქტორი	ასოც. პროფესორი
	სოციალური ფსიქოლოგია	ნ.ბასილაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოც. პროფესორი
	პრაქტიკული მენეჯმენტი	ი.ჯიმშიტაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	პროფესორი

❖ **პროგრამას დანართის სახით ახლავს :**

- ✓ სასწავლო გეგმა
- ✓ სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილები

პროგრამის განმხორციელებელთა CV-ები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.

სამაგისტრო პროგრამა:

ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე
Typological Linguistics and Translation

სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	სტატუსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო წლებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება					საათების რაოდენობა კვირაში			
				I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ საათები	ლექცია	პრაქტიკული	სულ	
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული	სემინარი						სულ
1	უცხო ენა 1 (B2 +)	სავალდებულო	5	5				15	30		45	80	125	1	2	3
2	უცხო ენა 2 (C1-)	სავალდებულო	5		5			15	30		45	80	125	1	2	3
3	ლინგვისტური მოძღვრების ისტორია	სავალდებულო	5	5				30	15		45	80	125	2	1	3
4	ტექსტის ლინგვისტიკა	სავალდებულო	5		5			15	30		45	80	125	1	2	3
5	სოციოლინგვისტიკა	სავალდებულო	5			5		30	15		45	80	125	2	1	3
6	შეპირისპირებითი გრამატ. კურსი 1.	სავალდებულო	5	5				30	15		45	80	125	2	1	3
7	შეპირისპირებითი გრამატ. კურსი 2.	სავალდებულო	5		5			30	15		45	80	125	2	1	3
8	ლექსიკოლოგიის ტიპოლოგია	სავალდებულო	5			5		30	15		45	80	125	2	1	3
9	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანი)	სავალდებულო	5	5				15	30		45	80	125	1	2	3

10	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (მხატვრულ ტექსტთა თარგმანი)	სავალდებულო	5		5			15	30		45	80	125	1	2	3
11	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10			10							250			
12	ლინგვოკულტუროლოგია	არჩევითი	5		X			15	30		45	80	125	1	2	3
13	საქმიანი კომუნიკაციისა და მეცნიერული კვლევის ტექნოლოგიები	არჩევითი	5	X				15	30		45	80	125	1	2	3
14	ინფორმაციული ტექნოლოგიები	არჩევითი	5	X				15	30		45	80	125	1	2	3
15	მეორე უცხო ენა (რუსული/გერმანული/ინგლისური)	არჩევითი	5-5	X	X			60	30		90	160	250	4	2	6
16	მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები	არჩევითი	5	X				30	15		45	80	125	2	1	3
17	ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი	არჩევითი	5			X		15	30		45	80	125	1	2	3
18	ენის ისტორია (ქართული და საანალიზო ენა)	არჩევითი	5			X		30	15		45	80	125	2	1	3
19	პრაგმატიკა და დისკურსი	არჩევითი	5			X		30	15		45	80	125	2	1	3
20	სოციალური ფსიქოლოგია	არჩევითი	5		X			30	15		45	80	125	2	1	3
21	პრაქტიკული მენეჯმენტი	არჩევითი	5			X		15	30		45	80	125	2	1	3
22	თავისუფალი კრედიტები (უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსები)	არჩევითი	5-5		X	X							250			
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				30						750	2		2
	სულ:	სავალდებულო	90	20	20	20	30						2375			
	სულ:	არჩევითი	30	10	10	10	–						625			
	ჯ ა მ ი		120	30	30	30	30						3000			

პროგრამის არქიტექტურა
კრედიტების განაწილება სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე
(ECTS 120)

№	მოდულის/საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	I	II	III	IV
	სავალდებულო:		90	20	20	20	30
	არჩევითი		30	10	10	10	
I	ზოგადი სასწავლო კურსები	სავალდებულო	15				
1	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	სავალდებულო	5	5			
2	ტექსტის ლინგვისტიკა	სავალდებულო	5		5		
3	სოციოლინგვისტიკა	სავალდებულო	5			5	
II	სპეციალიზაციის მოდული	სავალდებულო	35				
4	უცხო ენა 1 (B2 +)	სავალდებულო	5	5			
5	უცხო ენა 2 (C1-)	სავალდებულო	5		5		
6	შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 1	სავალდებულო	5	5			
7	შეპირისპირებითი გრამატიკის კურსი 2	სავალდებულო	5		5		
8	ლექსიკოლოგიის ტიპოლოგია	სავალდებულო	5			5	
9	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანი)	სავალდებულო	5	5			
10	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (მხატვრულ ტექსტთა თარგმანი)	სავალდებულო	5		5		
III	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10			10	
IV	არჩევითი კურსები	არჩევითი	30				
11	ლინგვოკულტუროლოგია	არჩევითი	5		X		
12	საქმიანი კომუნიკაციისა და მეცნიერული კვლევის ტექნოლოგიები	არჩევითი	5	X			
13	მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები	არჩევითი	5	X			
14	ინფორმაციული ტექნოლოგიები	არჩევითი	5	X			
15	მეორე უცხო ენა (რუსული/გერმანული/ინგლისური)	არჩევითი	10	X	X		
16	ტექსტის ლინგვო-სტილისტური ანალიზი	არჩევითი	5			X	

17	ენის ისტორია (ქართული და საანალიზო ენა	არჩევითი	5			X	
18	პრაგმატიკა და დისკურსი	არჩევითი	5			X	
19	სოციალური ფსიქოლოგია	არჩევითი	5		X		
20	პრაქტიკული მენეჯმენტი	არჩევითი				X	
21	თავისუფალი კრედიტები (უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამების სასწ. კურსები)	არჩევითი	10		X	X	
V	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				30
	ჯამი		120				